კერძო საშუალო სკოლა შპს „აისი“-ს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი

მუხლი1. ზოგადი დებულება

1.სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი (შემდგომში „წესი“) არეგულირებს სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს.

2. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია , მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3 მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

4. მოსწავლის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

მუხლი 2. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. სკოლის დირექტორი ამტკიცებს მოსწავლეთა შეფასების ვერიფ8კაციის ჯგუფის შემადგენლობას და მის ხელმძღვანელს.
2. სკოლის დირექტორის მოადგილე ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ჩართულობით სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას .
3. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება დადგენილი ვადების დაცვით.
4. ვერიფიკაციის ჯგუფი სემესტრის დასრულებისას პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენს დეტალურ დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
5. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სასწავლო პროცესის და სწავლების გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.
6. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრის ხელმძღვანელებთან

კონსულტაციების გზით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, , რომელიც მიმართული იქნება გამოვლენილი პრობლემატური საკითხების მოგვარებისკენ. სამოქმედო გეგმაში ასევე უნდა გაიწეროს: აქტივობების განხორციელების თარიღები, შესრულების ინდიკატორები, ადამიანური და მატერიალური რესურსი.

მუხლი 3. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა

1. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცედურის და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
2. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

   ა) ვალიდურობას;

   ბ) სანდოობას;

   გ) გამჭვირვალობას;

   დ) სამართლიანობას;

   ე) ობიექტურობას.

3. **შეფასების სიტემა ვალიდურია,** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისთვის, რაც ფასდება, და იგი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
4. **შეფასების სიტემა სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
5. **შეფასების სიტემა გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობების მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის.
6. **შეფასების სიტემა სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს , დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები: შეფასების დრო, გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები. ასევე ის გარემოება, რომ შეფასებისას ყველა მოსწავლე ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
7. **შეფასების სიტემა ობიექტურია,** თუ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

მუხლი 4. ვერიფიკაციის დასკვნითი პროცედურა

1. ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის პროცესი იწყება ვერიფიკაციის გეგმის შედგენით, შემდეგ ხდება ვერიფიკატორების შერჩევა და მათი ინსტრუქტაჟი.
2. **შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შემოწმება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**

   ა) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;
   ბ) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება;
   გ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;
   დ) ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა:
   ე) მტკიცებულებათა ფიზიკური არსებობის შემოწმება;
   ვ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;
   ზ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება:
   თ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება.
3. **შეფასების პროცესის შემოწმება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**

   ა) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;

   ბ) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;

   გ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;

   დ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;

   ე) შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება;

   ვ) შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების ადეკვატურობის შეფასება;

   ზ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;

   თ) მტკიცებულებათა ობიექტურობის შეფასება.

4. **ვერიფიკაციის დასკვნითი ეტაპი მოიცავს:**

   ა) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას;

   ბ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას, შეთანხმებას ფაქტობრივ გარემოებებთან;

   გ) საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებზე შეთანხმებას;

   დ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენას.

5. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. მასში ნათლად უნდა იკვეთებოდეს რამდენად იყო ან არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითი.
6. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
7. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა შემდგომი განვითარებისთვის.
8. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება დირექტორი მოადგილეს , რომელიც საჭიროების შემთხევაში ჯგუფთან ერთად ადგენს რეკომენდაციებს და ამის შემდგომ წარადგენს პედაგოგიურ საბჭოზე.
9. პედაგოგიური საბჭო დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას,, რომელშიც სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რომელიც იგეგმება დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

მუხლი5. მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცება, და მასში ცვლილებების შეტანა

1. ამ წესს შეიმუშავებს სკოლის დირექტორი

2. ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.